ISSN 0132-6015

ნიანგი

23

დეკემბერი

1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ახლაც იტყვიან ჩემზე, დემოკრატიას ზღუდავსოო?! ა, გატონო, სამი კანდიდატურა და აირჩიონ, რომელიც უნდათ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის სალამი



მეგობრული შარჟი ზურაბ ლეჟავასი

მეგობრული შარჟი დიმიტრი ერისთავის

აკაკი ბაქრაძეს

სიმართლისათვის მებრძოლო ახალო ბაში-აჩუკო,
რა გითხრა, რით გაგახარო, რა საჩუქარი გაჩუქო?

ჯერ სამოცი დღეც არ არის, სამოცი წლისა შესრულდი:
დაბალი, უხვი, მდაბალი, მკითხველმრავალი, ზნესრული!..

ბაში-აჩუკის გვარისავ, რა გაგირითმო, ბაქრაძევ!
მაგრად უხვდები უკეთურთ, მაგრად ცხოვრობ და მაგრად წერ!..

განა შენც, ზოგ-ზოგებივით, ჭამდი და ლუარსაბობდი!
უარი იყო სათქმელი? — კაცურად უარს ამბობდი!

მას ბრძანებ, რასაც გკარნახობს კარზე მომდგარი მესია!
(თურმე მესიას რაც უნდა, იმას ამტკიცებს სესია!).

ჩვენი ქართული მწერლობის, წმინდა გიორგის ჯარისკაცს
მოგესალმები და ვიცი, კიდევ მრავალჯერ გარისკავ!

სადა გვაქვს ჭეშმარიტება ბოროტთა გადასაქელი!
იხარე სიწმინდისა და ქართული სულის სახელით!

თენგიზ აბულაძეს

თქვენმა **„ლურჯამ“** თავის დროზე ჩააჩუმა ბევრი ვირი!
არც მეტი და არც ნაკლები — ხარ ქართული კინოს გმირი!

არ გავამხელ არსად სხვაგან, მხოლოდ შენთან დავიჩივლებ:
საქართველო, ძმაო თენგიზ, ველარ გასწვდა ამ **„სხვის შვილებს“**!

ზოგიერთი ტყემალზე ზის, შენ კი ზიხარ ნატვრის ხეზე,
ამიტომაც არ მაქვს ნება, ალტაცებით არ გიმზერდე!

შენი ფილმი გაშვებამდე ათჯერ ვნახე ვიდეოთი!
ზეპირად რომ არ მახსოვდეს, უნდა ვიყო იდიოტი!

გაგიმარჯოს!.. შენნაირი სულ გვჭირდება სატევარი!
მილიონი ლამე გქონდეს მამულისთვის სათევარი!

დაგლოცავ და ამას გეტყვი: ეს ერთი და სხვა სამოცი!
დანაშაულს ვ ი ნ ა ნ ი ებ — ადრე მყავდი დასალოცი!

თქვენი თაყვანისმცემელი „ნ ი ა ნ გ ი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ

ავტოგრაფები

იუმორესკა

რედაქციას რამდენიმე წერილი მივაწოდე, მაგრამ გამოქვეყნება რომ არც ერთს არ ეღირსა, თვითონ მივაკითხე.

— ჯერჯერობით თქვენზე წერენ!.. რიგი რომ მოგიწევთ, მერე თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ სხვაზე და ადარც დაბეჭდვაზე გეტყვით უარს! — მითხრა რედაქტორმა და ანონიმური წერილების მთელი დასტა დამიდო წინ.

შეჭირვებულს მაშინვე თვალწინ დამიდგა ჩემი მხსნელი ელეფთერ ლომის ძე, სიყრმის მეგობარი, რომელიც რამდენიმე კარგად მოფიქრებული სვლით წინ იყო წაწეული კარიერისტული თამაშის დაფაზე. რაიონში დავბრუნდი და დახმარება ვთხოვე. არ დაიზარა, ყველა საქმე გადადო და დედაქალაქში გამომყვა რედაქტორთან მოსალაპარაკებლად. ჩქარი მატარებლის კუპეში მარტონი ვიყავით, კონიაკს ვსვამდით და გულახდილად ვსაუბრობდით. მალე ძილი მოერია ლომის ძეს. ტალანში გავედი, ვაცალე მარტოს გაეხადა. კუპეში რომ დავბრუნდი, ელეფთერს ეძინა. მეც გავიხადე და საძი-



ლედ ვემზადებოდი, რომ უეცრად რაღაცამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: ელეფთერს უცნაურად უთრთოდა საბნიდან გამოშვერილი ფეხი: ეკრუნჩხებოდა თუ უდამბლავდებოდა, ვერ გამეგო. ახლოს მივედი. საბანწახურული რაღაცას ბურტყუნებდა და ფეხს აკანკალებდა. ვიფიქრე, რამე დაავადება ხომ არა აქვს-მეთქი... ვთქვათ, ვიტოვის ცეკვა... მაგრამ ვიტოვის ცეკვა ფეხით ცეკვას არ გულისხმობს... რა უნდა ყოფილიყო?.. ბუცებ ბედნიერმა აზრმა გამიელვა:

„ხომ შესაძლოა, რომ მე მედიცინის ჯერ მიუკვლეველი ფენომენის პირისპირ ვდგავარ? და მხოლოდ მე მეძლევა საშუალება აღვწერო ამ უცნაური სენის კლინიკური ნიშნები?“

—მაგრამ ცარიელი ხელით როგორ გინდა მეცნიერული აღმოჩენის ავტორი გახდე? — შევუწყალერი თავს. რატომაც არაო, შემომეკამათა, თუკი არქიმედმა ის ვეებერთელა კანონი აბაზანაში იპოვა, მე ამხელა კუპეში რა ღმერთი გამიწყრება? მართალია, კარდიოგრაფები და ოსცილოგრაფები არ მიდგას, მაგრამ განა ძველ ბერძნებსა და ეგვიპტელებს კი ედგათ? ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასი წლის წინათ მიაგნეს ადამიანის სხეულზე განლაგებულ აკუპუნქტურის წერტილებს... ყური გტკივა — ქუსლში გიჩხვლეტენ და ტკივილიც დაამებულია. ამისთანა ფენომენების აღმოჩენაში მთავარი ინტუიციაა.

სხვა რაღა დამრჩენოდა, მე თვითონ უნდა გამერკვია ამ უცნაური ავადმყოფობის არსი. ვცადე ხელსაწყოს გარეშე გადამეღო კარდიოგრამის მსგავსი რამ. ბლოკნოტი ავიღე, ჩემი ბურთულიანი კალამი ელეფთერს ფეხის თითებს შუა ჩავუდე და უწერი ფურცელი მივუშვირე...

კარდიოგრამის შევსება დაიწყო... ტეხილი თანაბარი იყო, ეტყობოდა, სენს უკვე მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ორგანიზმში და სტაბილურად მიმდინარეობდა. რაკი ბლოკნოტი საშუალებას არ მაძლევდა ლენტივით გამეგრძელებინა, სტრიქონებად დავალაგე. მერე წაკითხვა მოვინდომე, ფურცელი შემოვაბრუნე და უნდა გენახათ ჩემი გაოცება — ქართული ასოებით ნაწერი ტექსტი შემრჩა ხელთ!..

ფენომენი და მერე როგორი!..

— ვაშაა! აღმოჩენის ავტორი ვარ! — ლამის ხმამაღლა ვიყვირე. სიხარულის ცრემლები მოვიწმინდე და ტექსტის ამოკითხვა ვცადე...

ანაზდად ფეხქვეშ მიწა... მიწა კი არა, ვაგონი შემიქანდა და ლამის ელეფთერს ზედ გადავეშვე... ხელში მეჭირა ფურცელი, რომელიც რედაქციაში შესული, ჩემზე დაწერილი უსახელო წერილების ტყუპისცალი იყო...

ელეფთერს ფეხი გაუჩერდა. იმავ წუთს გამოეღვიძა, წამოიწია და შემეკითხა:

— ეგ რა ბლოკნოტია?

— არაფერი... გამოჩენილი პიროვნებების ავტოგრაფები მაქვს, — ვუთხარი და გავუწოდე.

ელეფთერმა ნაწერს დახედა, მოულოდნელობისგან შეკრთა და ფეხის თითებიდან კალამი გაუვარდა!..

ელგუჯა მერაბიშვილი



ტარიელ წერეთელი
(ქ. ჰიათურა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამოუკვლელ ლირიკა

როგორ გარდავქმნათ?

სიტყვას იტყვის და გრძნობებით გული კვარიავით იწვის,
რაც უნდა თქვას და თქმადაც ღირს, ხუთი თითივით იცის!
რომ მოუსმინო, იფიქრებ, ერთგული არის ფიცის,
ხალხის, მამულის, ერის და მისი გამზრდელი მიწის!..
ენამჭევრობს და ხარხარებს, სიტყვებს თამამად ისვრის,
სადღეგრძელოც კი „მაღალი რანგის“ ჩვენებით ისმის:
„ეს გაუმარჯოს ი მ ა ს და ეს გაუმარჯოს ა მ ა ს!..“
უდღეგრძელებელს არ ტოვებს პაპას და პაპის მამას.
სამშობლო? — მისი „კერპია“, სიტყვის ფარი და ხმალი,
მისი ზურმუხტი ველებით, საფირონით და ლალით!..
კაცი — „კაცობით ავსილი, მამულის მაჯა, თვალი“.
ამბობს: „თვით არის ქვეყანა და ქვეყნის სამართალი!..“
...და არ იშურებს არაფერს, რომ „გაიგონოს ხალხმა“,
არც მას ივიწყებს, რომ ზოგჯერ თქმასა სჯობია ართქმა!..
მანქანაც აქვს და ფულებიც, რაც უნდა ხარჯოს კაცმა
(თუ საიდან აქვს, ვინ აძლევს, უმჯობესია არ ვთქვა).
თავისკენ ითლის ყველაფერს (თვითონ ეძახის „სათალს“),
„ფული, ფული“ და სამსახურს „ხვეული“ ფულებით მართავს!..
გაზეთის კითხვაც ისწავლა (ტყუილს ეძახის მართალს),
როგორც მას „აწყობს“, ისე ჭრის, როგორც სურს, ისე ართავს!..
თამამი არის, ყოჩაღიც, არავისი აქვს რიდი,
თვითონ ფლიდია, მლიქვნელიც, მაგრამ არ უყვარს ფლიდი,
პატიოსნებას ქადაგებს სინდის-ნამუსზე მწყრალი,
შენ კი გგონია, დღედაღამ სიკეთით არის მთვრალი.
როგორ მწიფდება თავთავი, ღვინო რომ შხეფებს ისვრის,
მშრომელი კაცის მარჯვენით ოქროს დღეებს რომ ითვლის,
შრომის ბარაქა, დოვლათი, ქვეყნის სიხლად რომ იძვრის,
მამულს რომ უხვად სჭირდება, — კაბინეტიდან იცის...
განა ერთია ასეთი? (ან საკვირველი რა ვთქვი?),
მეც ის მაწუხებს, მომრავლდა ფლიდი, მერეკვი ხალხი!..
მათი ნატვრაა პირადი „ოქროს თევზი და... ვარცლი“,
მამულს, ერსა და ღირსებას მე მათ ღირსებად არ ვთვლი.
მითხარით, როგორ გარდავქმნათ, ვინც დაივიწყა ვალი
და ხარგებელსაც იქ ეძებს, სადაც იმღვრევა წყალი?
მგონია, ახლა გვჭირდება ღრმად გავატაროთ კვალი
და ორგულს გადავუმსხვრიოთ უთავო თავის ძვალი!..

თანამდებობის კაცია!

თანამდებობის კაცია ჯრუჭისპირელი ცაცია,
კვაჭია, მოხერხებული, ჯინსებიც უცხო აცვია!..
ვერც ტანადობით დაძრახავთ, მუხლმაგარი და ანცია,
ხმა დაიბოხა, დადინჯდა, ვითომ კაცური კაცია!
გასუქდა, როგორც კერატი, ყოყოჩობს, როგორც ვაცია,
ვის რა უყელოს, აართვას, იმის ფიქრსა და ცდაშია!..
გაქნილი, გაუმაძღარი მუდამ სიმდიდრის მკაშია,
მგლობას იჩემებს ცაცია... ვინ იცის, საქმე რაშია?
დიდგულა გახდა, გაჯიქდა, რომ მოგხპოს, იმის ცდაშია,
სახლი აიგო — ხახახლე, გარაჟში უდგას „რაშია“,
ხალამსაც ალარ კადრულობს, ისე ჩაგვლის გზაშია,
ათლის და ათლის ქვეყანას, ბანაობს ოქროს ზღვაშია!..
ავი ენები ამბობენ, რომ „კაცი ჰყავსო თავშია“,
ცაცია მის მზეს ფიცულობს, სახლში არის თუ კარშია.
ღმერთიც ვერ იხსნის ცაციას, ის რომ არ ედგეს მხარშია,
მაგრამ დადგება მისი დროც, გადაისვრიან ხრამშია!..
აბა, სიცოცხლე რად ფასობს, თუ კაცად არ ღირს კაცია?
ახლა კი ჭკუას მოუხმოს, არც სწყურია და არც შია,
ხალხი მგლებს როგორ ენდობა? სიკეთე მისი საშვია!.
მადა მოთოკონ შეფებმაც, სინდისიც გარდაქმნაშია!..

კაცი, რომელიც ალარ იცინის

არც უწინ იყო „ქვის და ქვითკირის“,
ახლა ვხედავ და გული მიტირის,
ხმა როცა იცნო „ფულის ტკაცინის“,
გამოიცვალა, ალარ იცინის.
უწინ არ იყო მგლობას ჩვეული,
დინჯად შრომობდა თითქოს, არადა
ვიღაცამ ხელი აპკრა გრძნეული
და ის ჯირკიდან ტახტზე ავარდა.
ისევ უნდილი, ისევ მაჭარი,
ცოდნის მყიდველი, არა ვაჭარი
და თვინიერიც, — ასე ვხედავდი...
მე მის ადგილზე ვერ გავბედავდი
ზურგიან სკამის ხელის ჩავლებას,
გადიდკაცებას, ხხვების სწავლებას.
ყველა ვამჩნევდით, ყველა ვხედავდით,
თქმას კი ვერც ერთი ვერა ვბედავდით,
ცრემლის დრო იდგა, არა სიცილის,
არც ვიტამინის და არც „მიცინის“,
ჩვენ „წავახდინეთ“, ჩვენი ბრალია,
გავადიდკაცეთ ასე ძალიან!..
თავს რად ვიტყუებთ, — ვინღა ტყუვდება?!
თავისით ხომ არ გაპანღურდება?!.
კარგი, ბატონო, ასე ვითმინოთ,
შვილთან ხომ მაინც უნდა იცინოს?!
ჩვენც დაგვიბრუნოს ხალამ-ქალამი,
კაცურკაცობის შნო და ალამი!..

დიდია რეს პუბლიკაში სამრეწველო საწარმოებისა და ავტოტრანსპორტის მიერ გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოცულობა, რომელიც წელიწადში 1,5 მილიონ ტონას აღემატება.

რესპუბლიკის შეშფოთება

ეკლესიაზე ეკლესიაზე

შენა ხარ ფული! —
    რა ხანია ამქვეყნად გაჩნდი! —
გაჩენა შენი, მართლაც, ჰგავდა
    გაჩენას ცეცხლის!..
გაჩენამ შენმა
    დაამსხვრია სიმშვიდე კაცის,
გაჩენამ შენმა
    გააჩინა ოქრო და ვერცხლი!..
ოდითგან დაგეყვა
    ხოცარი ალღო და ნიჭი,
ბევრჯერ იცვალე
    ტანსაცმელი, სახე და კურსი,
შენ ხარ ცბიერი,
    ხარ მზაკვარი
        და კარგად იცი
სისუსტე კაცთა,
    ფასი მათი სინდის-ნამუსის!
ბევრი შეძელი,
    რასაც კაცი ვერ იტყვის ენით,
ბევრი წარხოცე,
    იავარყავ,
        ქარს გაატანე!..
შენ არ დაინდვე,
    დაიმონე პატრონიც შენი,
ხიცილ-კისკისით
    ჩაუსახლე სულში სატანა!..
შენ ხარ ვაჭარი
    და მფლობელი უამრავ განძთა,
დასცინი ხურდებს,
    ვით მაძღარი დასცინის მშიერს,
შენთვის უცხოა
    თანადგომა, გრძნობა და განცდა,
შენ ლაჩარს აქცევ
    ძლიერ კაცად,
        და ლაჩრად — ძლიერს!
რა არ გაბედე,
    რა არ შეძელ,
        რა არ იკისრე
შენი მანეთით,
    შენი ფრანკით,
        შენი დოლარით!..
ხან დაემუქრე,
    ხან გაეგე,
        ხან დაიფიცე,
დააკარგვინე ბევრს ზნეობა,
    ანუ მორალი!..
ოცდაათ ვერცხლად
    გააკარი ჯვარზე იესო,
გააყიდვინე ბევრს სამშობლო,
    ცოლი და შვილი,
კაცობრიობას დაუწერე
    გამძლე პიესა,
სადაც შენა ხარ რეჟისორიც,
    მთავარი გმირიც!..
ჭეშმარიტებად მოგვასაღე
    ძაფით ნაკერი
არარაობა
    და სიმართლედ —
        საქმენი მრუდე,
მაგრამ მშრომელ კაცს
    ვერაფერი ვერ დააკელი,
გაბრაზებული
    გააფთრებით უტევ და უტევ!..
შეჩერდი! გესმის?! —
    უკუაგდე შენი ზრახვანი,
ჩადენილ ცოდვებს
    კვლავ ცოდვები არ მიუმატო!
მრუდე კაცისთვის
    უნდა გახდე აწი ლახვარი
და გამრჯე ხელებს დაუბრუნდე —
    შენს ნამდვილ პატრონს!
ნუ გაუყადრებ თავს საქმოსნებს,
    „მამულის“ კაცებს,
პატიოსნებას უერთგულე
    ყველგან და მუდამ,
პატიოსნება და სიკეთე
    თუ დაგამარცხებს,
ამგვარი მარცხი
    გამარჯვებად ჩათვალო უნდა!

ელდარ კერძევაძე



— ღმერთო ჩემო, რა ნელა გადის სამუშაო დრო!..

თითქოსდა, მირჩენ ირაკა,
მოვედი ზღვაზეს, არაკებს!..
ჩემდამი ძმობა კი არა,
შენ ღვინო გალამარაკებს!

ცოტა ფეხვა!.. ღვინოში რად წყეიმდი,
დღისით, მზისით ქვეყრიელი დამბობილო,
სულ ახლახან ძმობას მეფიცებოდი
და სასმელში რად გაქცეხელ, ძმობილო?!

ქარიულს ბარდა სამ ენის და
თავსაც კარგად ფლობდი!..
და შეგინჩდა ალკოჰოლის მახრა!..
ტრაბახობდი, გავსდებით
კარგი ფილოფეიი,
და „ღვინოლოგს“ ვეძახიან ახლა!

ლხინი ხენდა გაარწყვინო მზესავით,
შენ კი იქეე მარტო სმად და ჭამადა!..
ჩემი ანრით, სულელია შენსავით,
ვინაც წუხელ ადირნა თამადად!

სვამს და სვამს, როგორც ქამენი,
სასმელს არასდროს არ ეყლეტს,
სამსახური აქვს კიდეში,
საძინებლად აქვს სახლეკენ.

მთვრალი ეყო... ირია გზა-კვალი,
თავი ხტაკვა, თან რესტორნის აქვს ვალი!..
სხვა ხელადეი, ოქეა ბიუდ ხელადა,
მერე 08-ს დაურეეეს ხელადა!..

შეიროო კარგი გოგონა
(ბეჯრს, მგონი, ეს არ ეკეკვრთ),
ცოლს იგი კაცი ეგონა,
ეოფილა ღვინის ტაკი!

დათვრები და ყველა უნდა
გვლანძლო ან გვაგინო,
ჩხუბობ, ლაყბობ, წიოკობ და
თან გგონია, ლხინობ!..
შენი თავი გვენანება,
განა — პური, ღვინო!

შენთან ბზრარად საკეფოდ მოდიან,
ბეჯრნი ყანწეი ეოგაკეკი, გაკობა!..
ლხინი სმაში გაჯაბრება ეოფია
და სტუმრების მაგიდასთან დაბრჩობა!

ნაღდი ლხინის და ქეიფის
რომ არა გაკვს ნაჭი,
ჯერ კარგ ღვინის ალუბეკ და
მერე თავსაც ავრი!..

არცხვენ ძმობლეს, პაპასა და ბებიას,
სხვა არ იეი, ეაჯწეს დაცლის გარდა!..
ქართულ სუფრას ჰკვია ავადეია,
შენ კი ბილწეკ მის ნენსა და ადათს!

წოეაცა... თავი გაუტყდა
(სასმელს ეძალა ცოფიანს),
ეთხრეს: „სახელის გატეხას
თავის გატეხა სჯობია!“

ვანო ცინცაძე

ტკბილი-მტკვილი

ალმასკოშვილის თავმჯდომარის მისაღებ ოთახში ლოკოკინა ნაცნობ კოდალას შეხვდა.

— რაზე შეწუხებულხარ?

— აგერ, სითვეზოდ ჭიაყელების დამამზადებელი კოოპერატივის გახსნას ვაპირებ, იქნებ ნებართვა ავიღო!.. შენა?

— მეც ნებართვისათვის მოვედი, ლოკია მინდა მიგაშენო...

იუო ჟურნალ-გაზეთების ჯიხური, ჯიხურს ჰქონდა სარკმელი, სარკმელთან ახლოს მორცხვად ეკიდა წარწერა: „სამგზავრო ტალონები იყიდება ტალონებზე“.

ცნობილ (და პატიოსან) საზოგადო მოღვაწეს წერილობით შეეკითხნენ შეხვედრაზე:

— გარდაქმნისა თუ გჯერათო?

— რა ვქნა, — უპასუხა, — სიზზარში მჯერა და ცხადში მეეჭვებაო. ერთი სიტყვით, გარდაქმნის მომხრედ ვიღვიძებ და მოწონაღმდეგად ვიძინებო...

ერთ მშვენიერ, გაცისკროვნებულ, მზიან დღეს ავტომანქანები გაჩახჩახებული ფარებით დაკრიდნენ ქუჩებში. დასაცქეროდა მზე უამრავი მაშუქით ათინათებულ ქალაქს და ნაღვლიანად ფიქრობდა:

— რა ხდება, ნეტავ? მმართველი აპარატის შემცირებაში ხომ არ მომაყოლეს? ნუთუ ამ ხალხს აღარ ვჭირდები და მაპანღურებენ?..

პირველად იყო სიტყვა; და მერე სულ სიტყვა იყო — მეორედ, მესამედ, მეშვიდედაც; და სიტყვა იყო სხვადასხვა ღმერთი; აი, საქმე — საქმე კი არა და არ ჩანდა!..

გიგოგონ-გამოიგონა
თამაზ ეგანოიძე



სოფლელი მოსწავლეების ზარათი ქალაქელ „ზანგებს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასწავლო დროის ხარჯზე მოსწავლეთა მოცდენა სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებზე, რომლებიც არ უკავშირდება საგანმანათლებელ პროცესს, აკრძალულია“.
საბუალო სკოლებისა და ინტერნატების სკოლის დირექტორთა
პროკლამაციიდან

პატ. მასწ. ნიინგო, ამ ბარათს გიგზავნიან სოფლის ბავშვები, გასაჭირს გითვლით და გვკვერა, ამაოდ ალარ დავშვრებით!

წერილ-წერილად მოგწერთ, რაც კი რამ ხელს გვიშლის კარგად სწავლაში, არ დაიჯერთ, თითქოს ჩვენ დრო გვქონდეს ცეკვა-თამაშის!

რის თამაში და ანცობა,
რის მიმდგრები და რაშები!..
თქვენთან, თბილისის სკოლებში,
ნუ შორი სოფლელი ბავშვებს!

ჯერ ჩამოგითვლით, რა და რას
ვაგროვებთ, ვეძებთ, ვალაგებთ,
რით ვაყენებთ ზამთარ-საფუფლში
ვეფოროს, ტომრებს, კალთებს!

ჯართი, ასკილი, ცალა,
ძონები, ანწლი და ტყემალი,
ლეღვი და მაკულატურა,
დროდადრო — დაფნის კენალ!..

თან სამუშაოდ დავდავართ
ზეგარში, ბალებში, ყანაში...
ხან თუთის ფოთლის სატებრად
ცხადდება ტყეში განგაში!

ვართ „ნორჩი მებოცვრეები“,
ვართ „ნორჩი მეხანძრეები“,
„დრუჟინნიკებიც“ ალომად გვყავს
და „ნორჩი მესახლეურეებიც“!..

გაკვეთილიც რომ გაგვიდეს,
კრებებს მაინც არ ეაკლდებით...
ვმეფობთ „დოსაფს“, „წითელ ჯვარს“
ფულით, ოქმებით, მარკებით!..

ამ დროს თუ მართლა ეიკითხავთ
ჟურნალ-გაზეთებს ფურცდებს,
რასაც სკოლაში გვინერენ,
თან არაქართულ ენაზეც, —

მაშინ ხომ ჭირი მოგვეჭამა
საგნის ფრიადზე ცოდნამა!..
რიგორ დავძლიოთ ისედაც
გადატვირთული პროგრამა?!.

ამირან ქალაქე

საჯაროობის სინდრომი

ნევროპათოლოგ გვანჯი ტყემალაძის გამოცდილ მზერას არ გამოჰპარვია პაციენტის აგზნებული მდგომარეობა.

— თქვენც ეჭვის თვალით მიყურებთ? — გაბზარული ხმით იკითხა ავადმყოფმა.

— როგორ გეკადრებათ! — მშვიდად გაუღიმა ექიმმა.

— უკადრისი არასდროს მიკადრია!

— გაბრალებთ ვინმე?

— მთელი ჩემი ცხოვრება პატიოსნად განვვლე! — თანდათან უწევდა ხმას ნერვებმოშლილი და სახიფათო მანძილზე უახლოვდებოდა მაგიდას.

— დაბრძანდით!

პაციენტი სკამის კიდეზე ჩამოჯდა. აცახცახებული ხელები საკმაოდ მძიმე საფერფლის გვერდით დააწყო მაგიდაზე. ერთი ქუთუთო შეუჩერებლად უთამაშებდა, მაგრამ ცალი, ფართოდ გახელილი თვალით დაჟინებით მისჩერებოდა თეთრხალათიანს. ამ უკანასკნელმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან და ნელ-ნელა გამოაჩოჩა თავისკენ საფერფლე.

— სანამ ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ვიყავი, არ ვეწეოდი! — სიგარეტის კოლოფზე გადაიტანა მზერა ავადმყოფმა.

— ნურც ახლა მოსწევთ! ნიკოტინი დამღუპველად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე! მე, მაგალითად, ძალიან იშვიათად ვეწევი!.. — ჯიბეში ჩაიდო სიგარეტის კოლოფი ექიმმა.

— ასე მგონია, ნერვებს მიწყნარებს. დღეში ერთი კოლოფი აღარ მყოფნის!..

— ჯანმრთელობისათვის მავნებელი ილუზიაა. რა საქმე გაბარიათ ასეთი სანერვულო?

— ომისა და შრომის ვეტერანი ვარ, პერსონალური პენსიონერი.

— მერე, რა გიშლით ხელს დამსახურებულ დასვენებაში?

— ვინც ხალხის მტერი მეგონა, რეაბილიტირებულია! ვისაც პატივს ვცემდი, დასაგმობი აღმოჩნდა! მტერს არ ვუსურვებ ასეთ დასვენებას!

— რატომ განიცდით ასე? ეს ხომ პირადად თქვენ არ გეხებათ?

— როგორ არ მეხება! — აღელდა ვეტერანი.

— თქვენი სახელი და გვარი მითხარით! — პოლიტიკური დისკუსიისადმი გვერდის ავლა და ანკეტის შევსება დააპირა ნევროპათოლოგმა.

— გლახუნა დიდებულიძე.

— ძალიან სასიამოვნოა! რას უჩივით?

— მომჩივანი და დამსმენი არასდროს ვყოფილვარ! — გაცხარდა გლახუნა.

— გავიგე, ბატონო, მაგრამ ამჟამად რა გაწუხებთ?

— როგორ თუ რა მაწუხებს?! ხომ შეიძლება, შექმნილმა ვითარებამ თაობათა განხეთქილებამდე მიგვიყვანოს?

— რა ბრძანეთ? — არ მოელოდა ასეთ განცხადებას და დაიბნა გვანჯი.

— რატომ გიკვირთ? თქვენ რა, საგვარეულო ხეზე ზიხართ?

შეურაცხყოფილმა ტყემალაძემ წყენა არ შეიმჩნია. სამსახურებრივმა მოვალეობამ თავშეკავებას მიაჩვია. ინსტრუმენტი მოიმარჯვა და წამოდგა.

— დამშვიდდით და ფეხი ფეხზე გადაიდეთ! — მიმართა ავადმყოფს.

— ზოგიერთისათვის ცხოვრებისეულ პოზიციად იქცა ფეხის ფეხზე გადადება, ყველაფრის ფეხებზე დაკიდება!

— თქვენ რა, მე მგულისხმობთ?

— ნუთუ ვერ ამჩნევთ, რა ხდება თქვენს ირგვლივ!

— რა ხდება ამისთანა?

— გაზეთებსა და ჟურნალებს არ კითხულობთ?

— ვკითხულობ ყველაფერს, რასაც ვშოულობ! — განაწყენება ვეღარ დამალა გვანჯიმ.

— იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რამ განაპირობა ასეთი ბუმი? შარშან თუ ოთხი ლიმიტირებული გამოცემა გვქონდა, წელს 41 გახდა!

— ქაღალდის დეფიციტმა ალბათ.

— არც უმაგისობაა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სენსაციურ მხილებათა ხანა დაგვიდგა!

— რა არის მერე ამაში ცუდი?

— კი, მაგრამ რეპრესიების, შეცდომების მეტი არაფერი გაკეთებულა? როგორღა იქცა ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე, ინდუსტრიულ სახელმწიფოდ? როგორ მოვახერხეთ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, გაჩანაგებული ქვეყნის ხელახლა აღდგენა, სოციალისტური ბანაკის შექმნა? — ფეხზე წამოიჭრა და სულმოუთქმელად დააყარა კითხვები აღელვებულმა დიდებულიძემ ტყემალაძეს.

— დამშვიდდით, დამშვიდდით! — უკან დაიხია ნევროპათოლოგმა.

— დამშვიდების უფლება არა გვაქვს, რადგან ჩვენი წარსულის ჩრდილოვან მხარეებზე ყურადღების გადატანამ შეიძლება გზა-კვალი აურიოს ისედაც სინათლესა და სიმართლეს მონატრებულ თაობას!

ექიმი მიხვდა, რომ გაცილებით უფრო რთულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე, ვიდრე თავიდან ივარაუდა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ავადმყოფს. კარგა ხანს გაგრძელდა დაძაბული სიჩუმე.

— გუშინ შვილიშვილმა განმიცხადა: შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, ამდენ რეპრესიებს როგორ გადაურჩიო? — ოხვრასავით აღმოხდა თავჩაქინდრულ ვეტერანს და მოცელილივით დაეშვა სკამზე.

— რას ბრძანებთ! — თანაგრძნობით მიაჩერდა ტყემალაძე დიდებულიძეს.

— ეტყობა, ეს კითხვა თქვენც დაგებადათ, არა? — საწყლად იკითხა ბერიკაცმა.

— ეგ რამ გაფიქრებინათ! — შეიცხადა ექიმმა.

— ახლა იმდენს წერენ რეპრესიებზე, რომ ყველა ეჭვის თვალით გვიყურებს „ბედნიერი გამონაკლისის სახით“ გადარჩენილებს!

ბიბი ჩხიკვიშვილი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— მიშველეთ, ფერი აღარ მადევს კაცს, ამ ფერმის გადამკიდეს!..

როგორ ესმით დემოკრატია გოგიერთ აფთიაქში

იუმორესკა

უწინ, როცა ბიუროკრატია იყო გლერტა ბალახივით ფესვგამდგარი, ყველანაირი წამალი აფთიაქის მმართველს მოეკითხებოდა პირამიდონით დაწყებული და გფრ-ის ასპირინით დამთავრებული.

გავიდა ხანი, იმძლავრა 1985-მა წელმა და ბიუროკრატებს სიცხე მიადგათ — ველარ პარპაშებენ უწინდებურად. აფთიაქის მმართველი რომ აფთიაქის მმართველია, ისიც კი შეეშვა ბიუროკრატობას და სადღეისოდ აფთიაქის ყველა თანამშრომელს მიუწვდება ხელი მედიკამენტებზე.

დამლაგებელი, რასაკვირველია, ყველაზე დაბალ რანგს მიეკუთვნება და, შესაბამისად, ნაკლებდეფიციტურ, ანუ ნაკლებსარფიანს გიშოვის, ვთქვათ, სამამულო წარმოების ასპირინს (მოსწრებაა ივლისაგვისტოში, მურაბებისა და ხილფაფების სეზონზე), ან თუნდაც, „ოქროს ფხვნილს“.

მოლარეს ოდნავ მეტი პრივილეგიები აქვს და, შესაძლოა, საჭმელი სოდაც კი გაგიხერხოთ! მერე და მერე, ფუნქციებიც იზრდება და დეფიციტური წამლების დასახელებაც. თვითონ მოვკარი ყური ერთ აფთიაქში შემდეგ დიალოგს:

— კაცო, ჟორჟიკიეს ცოლს დაუწყიაო აფთიაქში მუშაობა!

— რა მოხელე-ნაჩალნიკია, თუ იცი?

— რად მუშაობს, მაგი არ ვიცი, მარა რიბოქსინი რომ აბარია, ნაღდია!

— ოჰ! არ ყოფილა ხელწამოსაკრავი! ის როა, მამია ღრანჭმოქცეულის ფუფალია, ის რაღას წარმოადგენს?

— ფუფალიას სუსტაკი ებარა ადრე, მარა ახლა სუსტაკი აღარ გამონავალა და შემცვლელს კაციშვილი არ უკიდებს ხელს, ფულის გადაყრაა.

— შეხე, შეხე, რავა გუგულებივით მუსაიფობენ, ვითომც ერთმანეთზე ამოსდიოდეთ მზე და მთვარე: ლინკომიცინი, რუმინული ატ-ეეფი და ინოზია-ეფი!

— ინოზია-ეფი?

— ჰო, აფთიაქის მმართველი!

ღმერთო, დეიდაშვილი მყავს ფარმაცევტი, მოსკოვში დაამთავრა ინსტიტუტი... მაყუთის თავი ნამდვილად არა აქვს და იმ წითელი დიპლომის ხათრით რომაზულანზე მაინც მომაწყობინე სადმე!

ტიტე ქავთარაძე



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

მეგობრის გახსენება

„ნიანგის“ ბიბლიოთეკის“ სერიით მორიგი კრებული გამოდის. მის გარეკანზე მცირე, მაგრამ გადაუდებელი კორექტივის შესატანად მხატვარი მოვიკითხეთ და ეს მერამდენედ გულისტკივილით მოვისაკლისეთ **ანდრო კანდელაკი**, კაცი, რომელიც ასე დააკლდა ჩვენს ჟურნალს, მეგობრებსა და ახლობლებს!..

ნიჭიერ მხატვარ-კარიკატურისტს, ამაგდარ ნიანგელს თავისი ღირსების საქმედ მიაჩნდა ჩვენს ჟურნალში მუშაობა. მას გულით სწამდა სატირისა და იუმორის მაღალი დანიშნულება და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ამ რწმენის ერთგული დარჩა — შემოქმედებითი კავშირი არ გაუწყვეტია თავის მშობლიურ რედაქციასთან!..

დინჯად, აუჩქარებელი ნაბიჯით შემოდიოდა რედაქციაში შინაგანი კეთილშობილებით აღსავსე ღიმილიანი კაცი, მოგვესალმებოდა, მოგვიკითხავდა, გაგვეხუმრებოდა!.. მერე თავის განუშორებელ პორტფელს სადმე ჩამოდებდა და შიგ ხელს მოაფათურებდა, ჩვენ კი მოუთმენლად ველოდით, რას ამოიღებდა; წინასწარ ვიცოდით, რომ **ბატონ ანდროს** „ნიანგის“ მკითხველებისათვის მორიგი სასიამოვნო სიურპრიზი ჰქონდა მომზადებული მაღალოსტატურად გასრულებული ნახატი-კარიკატურების სახით!..

ანდრო კანდელაკი თავისებურად კოლორიტული ფიგურა იყო სიცილის ქართველ დიდოსტატთა შორის, ეს იგრძნო პოეტმა, როცა სამოცი წლის მხატვარს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:



სამოცი წლისთავს ვულოცავ დიდებულ ანდრო კანდელაკს—
შობილს ჭეშმარიტ ჯენტლმენად, ვაჟკაც და სათნო ქართველად!..
იუმორი და სატირა ფერებში ანთო სანთელად!..
ხიშტით და ფუნჯით იბრძოლა, წარსული ათოვს ნათელად!..
კაცს, კანდელივით ბრწყინვალეს, ყველგან ღიმილი მიჰყვება,
ანდროს სტუმრობით სუყველგან კარი სიამით იღება!..
იუბილეზე კანდელაკს, — ვინც მუდამ ლხენად იღვრება, —
ვუმღეროთ კანდელაკური — ძველი სალხინო სიმღერა!

ანდრო კანდელაკის პირველი ნახატი-კარიკატურა ამ ორმოცდაათი წლის წინათ, 1936 წელს დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში, მას შემდეგ მხატვარი მისი აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომელია. **ანდროს** ნამუშევრები გამოირჩევიან სათქმელის ორიგინალობითა და შესრულების ოსტატური მანერით. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი პირველი ანომალისტია ქართულ იუმორში. იმ ლაღ მონასმებში, სადაც მხატვარი ცხოველებს „აკისრებს“ ადამიანური ცოდვების ტვირთს, უმაღლეს ეფექტს აღწევს!

1940 წელს **ბატონი ანდრო** „ნიანგის“ რედაქციის მხატვრის თანამდებობაზე მუშაობდა, აქედან წავიდა იგი დიდ სამამულო ომში და ყალამი ხიშტით შეცვალა!.. მერე დაბრუნდა, იშრომა, იღვაწა... განესვენა, მაგრამ **ანდრო კანდელაკი** კვლავ ჩვენთანაა და ჩვენს გვერდით იბრძვის თავისი მახვილგონივრული კარიკატურებით ცხოვრებაში ახლის, პროგრესულის დასამკვიდრებლად! მისმა თვითმყოფადმა და ჭეშმარიტად ეროვნულმა შემოქმედებამ დიდი ხანია მოიპოვა სახალხო აღიარება და სიყვარული! დღეს მას იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც!..

ბატონი ანდრო მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული, მრავალმხრივ განათლებული და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება იყო — დიდსულოვანი და თავმდაბალი, მართალი და ობიექტური, ჩუმი და მოკრძალებული, რაინდულად კეთილშობილი და მოსიყვარულე!..

აკი იმიტომაც ასე დაგვწყვიტა გული მისმა უეცარმა სიკვდილმა!..

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში არა-არა და მაინც წამოგვადგება ხოლმე თავს მისი კეთილი ლანდი, სინანულით ვიხსენებთ და გული გვწყდება უდროოდ წასულ დიდებულ კაცზე, ვისაც მთელი თავისი არსებით უყვარდა თავისი ხალხი, თავისი საქართველო!..

ნიანგელები



— ასე უსინდისოდ რომ მატყუებ, ხედავ, რამდენი ხალხი დგას ჩემს უკან?!

— რომ იცოდე, ჩემს უკანაც დგანან!..

უსიტყვოდ

„ანონიმკა" დაუსაფლავებიათ!..

იუმორესკა

ის-ის იყო, იპოლიტემ სახლის დირეს გადააბიჯა და პალტოც კი არ გაუხდია, რომ სამზარეულოდან მისი კეკლუცი აფროდიტა გამოფრიალდა, არც კი დააცადა კაცს ამოსუნთქვა, ისე შეაგება ღიმილი და თან ხელები გაუშალა:

— იპოლიტე, გაიგე, კაცო, რა მეხი დაგვეცა?

— რა იყო, შე ქალო?! მაგ ცარიელა თავით რას გაიგებდი ასეთ სასიხარულოს, სამპროცენტიანმა მოიგო თუ?

— არა, იპოლიტე, არა! სულ სხვა რამეა, მალარიჩი თუ იქნება, გეტყვი!..

— ჰო, კარგი, ამოღერღე!

— კაცო, ანონიმკა დაუსაფლავებიათ!

— რაო?!

— ანონიმკებმა ჭირი მოგჭამაო!..

— როდის გარდაიცვალაო?

— დღეს გაზეთშია, უკვე დაიტირესო!

— მატყუებ!

— აა, გაზეთი!

იპოლიტემ საკუთარი თვალით წაიკითხა მსხვილი ასოებით დაწერილი ანონიმკის დასაფლავების ამბავი და გახარებულმა დააგდო გაზეთი:

— შენ გენაცვალე, აფროდიტა, ქალი ვარო, შენ უნდა თქვა! მალარიჩი — ერთი კოცნა შენ!

— კოცნა რად მინდა, ეგაა მალარიჩი?

— საწყალი ანონიმკა!.. კაცმა რომ თქვას ახლა, აქ არავინ გვისმენს და, ბევრი კი მართალი იყო, მაგრამ ჩვენ ხომ აწი გზა გაგვეხსნა!.. კაცო, გაგიგონია, მათი შიშით ფეხი ვერ გადავადგი. ვინც კი ერთი-ორი კაპიკი შემომიტანა, მაინცდამაინც მეორე დღესვე ჩემი უფროსი დამირეკავდა. შევიდოდი თუ არა, სათვალის ზემოდან გამომხედავდა და ღიმილით მეტყოდა: — ბიჭო, ფული ხომ არ გიჭირს? სირცხვილით ოფლს მასხამდა კისერში. რასაც გულისხმობდა, უკვე ვიცოდი და... ოთხი გაყოფილი ორზე, ორი რომ იყო, ისიც ცნობილია! აწი? წერონ, რამდენიც უნდათ! დამიბანია ხელი! მაგრამ როგორ ფიქრობ, ჩემო გამხარებელო, გვეშველება რამე? აწი მართლაც არ დაუჯერებენ?.. თუ... ჩუმ-ჩუმად მაინც გადაქექავენ?

— რა ვიცი, იპოლიტე, თუკი დაასაფლავეს!..

— ეე, შენ არ იცი, ერთს რომ იტყვიან, მეორეს აკეთებენ!..

— რაო? მაშ მალარიჩში მანქანას არ მიყიდი?

— მართვის წიგნაკი აიღე?

— აპა! დავამთავრე!

— ჰოო, გიყიდი... მაგრამ ისევ რომ აფრინონ ანონიმკა?.. სად მიდიხარ, ჰა?

— აბა, როგორღა დაასაფლავეს?

— ეეჰ, რა კარგი იქნებოდა, შენ რომ ჭკუაც გქონოდა!

— რაო, მოგვატყუეს? აბა, ისევ წუწუნი დაგვჭირდება! ისევ შიშითა და კანკალით უნდა შემოვიტანო სახლში სანოვაგე? აბრასიას რა გადაურჩება, ისევ წერილი უნდა აფრინოს? ვიჩივლებ, ვიჩივლებ!.. ეს ხომ მოტყუებაა?

და ჩაიქცა...

დოდო ზურაბიშვილი

ნახ. ა. ოქროპირიძისა

უსიტყვოდ

766
19 XII 88

ზოგ ჰაი-ჰოლავს

არ სჭირდა გარდასაქმნელი,
სიტყვა იცოდა მართალი,
გვიმზერსო ართვალნათლად,
შავი გულით და სათვალით.

შეხეთ, არა და არ სჯერა
ჩვენი ალმა და წალმასვლის,
მისთვის დასჯა და დაჭერა
ცოტაა, რადგან არ გვაცლის —

ბედნიერებას ხალხისთვის,
ხალხის უღელში შებმულებს!..
ჩვენ ძველ ტყავს ვიძრობთ ახლისთვის,
ის კი ისევ ძველს ერთგულებს!

ამუნათებდნენ გათელილს,
უძრავს რომ ვიტყვით, იმ დროში,
არ სჭირდა გარდასაქმნელი,
არ ჰქონდა მიტომ არც გროში.

დრო ახლა დადგა ახალი,
მოქრთამე და მომლიქვნელო
ადგა და უცებ გვახარა:
მე უკვე გარდავიქმენო!

ისევ ჩაება ფერხულში,
გამოიცვალა კვლავ ტყავი
და იბრაგუნებს ხელს გულში
მამა აბრამის ბატკანი...

ისევ თითს უშვერს კაცს მართალს,
შეხეთ! რაც იყო, არს ისო!..
და გარდაქმნილმა გარდაქმნის
ზარები ჩამოარისხა!..

საქმე კი კვლავ „მოაგვარა"
(ამის თქმა გვიჯობს არათქმას),
ღმერთო, მომასწარ ამგვარად
გარდაქმნილების გარდაქმნას!

ნოდარ გრიგალაშვილი

წალმა-უკულმა სათქმელი

რაც კი ქვეყნად სიამეა, შვილო,
შენ არაფერზე წამოგცდეს — „არა!"
რაც ძალა და ღონე გაგაჩნია,
დაეწაფე ღვინოსა და არაყს!
ერთი სიგარეტი რომ მოსწიო,
მეორე გააბრწყინე ცეცხლით!
გარჯა? რა შენი საქმეა, შვილო,
თავისით მოდის ქონება ზეცით!
არ დაერიდო რაიმე აკრძალულს,
ზოგჯერ მთვრალიც კი მიუჯექ საჭეს,
არად ჩააგდო წითელი შუქი,
პირდაპირ დაადექ გზას და გაჭერ!
რაც შეგიძლია, ანიავე ფული,
გაუქრე დედ-მამას ბარაქა,
არასდროს იზრუნო დედ-მამისთვის! —
დაე, ვიწვალოთ, სანამ ძალა გვაქვს!
არ იფიქრო დაქორწინებაზე,
რა საჭიროა ცოლ-შვილის ყოლა?
ქართველთა გამრავლებაზე ზრუნვა
ჩვენთვის მიუღებელია ყოვლად!
მინაწერი
ასეთ საუბარს ვაპირებ შვილთან,
ასე მაქვს სათქმელი დაწყობილი.
ვაითუ სიტყვა არ იყოს რიგზე,
ვაითუ არ იყოს აწონილი!
სხვა გზა აღარ მაქვს, დებო და ძმებო,
ვერ მოვუარე ამ ჩემს უკუღმართს,
წაღმა ლაპარაკი რომ ესმოდეს,
რად ვაკადრებდი სიტყვას უკუღმართს?

ლალი მარტაშვილი

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

„ანონიმკა“ დაუსაფლავებიათ!..

იუმორესკა

ის-ის იყო, იპოლიტემ სახლის დირეს გადააბიჯა და პალტოც კი არ გაუხდია, რომ სამზარეულოდან მისი კეკლუცი აფროდიტა გამოფრიალდა, არც კი დააცადა კაცს ამოსუნთქვა, ისე შეაგება ღიმილი და თან ხელები გაუშალა:

— იპოლიტე, გაიგე, კაცო, რა მეხი დაგვეცა?

— რა იყო, შე ქალო?! მაგ ცარიელა თავით რას გაიგებდი ასეთ სასიხარულოს, სამპროცენტიანმა მოიგო თუ?

— არა, იპოლიტე, არა! სულ სხვა რამეა, მაღარიჩი თუ იქნება, გეტყვი!..

— ჰო, კარგი, ამოღერღე!

— კაცო, ანონიმკა დაუსაფლავებიათ!

— რაო?!

— ანონიმკებმა ჭირი მოგჭამაო!..

— როდის გარდაიცვალაო?

— დღეს გაზეთშია, უკვე დაიტირესო!

— მატყუებ!

— აა, გაზეთი!

იპოლიტემ საკუთარი თვალით წაიკითხა მსხვილი ასოებით დაწერილი ანონიმკის დასაფლავების ამბავი და გახარებულმა დააგდო გაზეთი:

— შენ გენაცვალე, აფროდიტა, ქალი ვარო, შენ უნდა თქვა! მაღარიჩი — ერთი კოცნა შენ!

— კოცნა რად მინდა, ეგაა მაღარიჩი?

— საწყალი ანონიმკა!.. კაცმა რომ თქვას ახლა, აქ არავინ გვისმენს და, ბევრი კი მართალი იყო, მაგრამ ჩვენ ხომ აწი გზა გაგვეხსნა!.. კაცო, გაგიგონია, მათი შიშით ფეხი ვერ გადავადგი. ვინც კი ერთი-ორი კაპიკი შემომიტანა, მაინცდამაინც მეორე დღესვე ჩემი უფროსი დამირეკავდა. შევიდოდი თუ არა, სათვალის ზემოდან გამომხედავდა და ღიმილით მეტყოდა: — ბიჭო, ფული ხომ არ გიჭირს? სიცხვილით ოფლს მასხამდა კისერში. რასაც გულისხმობდა, უკვე ვიცოდი და... ოთხი გაყოფილი ორზე, ორი რომ იყო, ისიც ცნობილია! აწი? წერონ, რამდენიც უნდათ! დამიბანია ხელი! მაგრამ როგორ ფიქრობ, ჩემო გამხარებელო, გვეშველება რამე? აწი მართლაც არ დაუჯერებენ?.. თუ... ჩუმ-ჩუმად მაინც გადაქექავენ?

— რა ვიცი, იპოლიტე, თუკი დაასაფლავეს!..

— ეე, შენ არ იცი, ერთს რომ იტყვიან, მეორეს აკეთებენ!..

— რაო? მაშ მაღარიჩში მანქანას არ მიყიდი?

— მართვის წიგნაკი აიღე?

— აპა! დავამთავრე!

— ჰოო, გიყიდი... მაგრამ ისევ რომ აფრინონ ანონიმკა?.. სად მიდიხარ, ჰა?

— აბა, როგორღა დაასაფლავეს?

— ეეჰ, რა კარგი იქნებოდა, შენ რომ ჭკუაც გქონოდა!

— რაო, მოგვატყუეს? აბა, ისევ წუწუნი დაგვჭირდება! ისევ შიშითა და კანკალით უნდა შემოვიტანო სახლში სანოვაგე? აბრასიას რა გადაურჩება, ისევ წერილი უნდა აფრინოს? ვიჩივლებ, ვიჩივლებ!.. ეს ხომ მოტყუებაა?

და ჩაიკეცა...

დოდო ზურაბიშვილი



უსიტყვოდ

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ზოგ ვაი-მოღვაწეს

არ სჭირდა გარდასაქმნელი,
სიტყვა იცოდა მართალი.
გვიმზერსო ართვალნათელად,
შავი გულით და სათვალით.

შეხეთ, არა და არ სჯერა
ჩვენი აღმა და წაღმასვლის,
მისთვის დასჯა და დაჭერა
ცოტაა, რადგან არ გვაცლის —

ბედნიერებას ხალხისთვის,
ხალხის უღელში შებმულებს!..
ჩვენ ძველ ტყავს ვიძრობთ ახლისთვის,
ის კი ისევ ძველს ერთგულებს!

ამუნათებდნენ გათელილს,
უძრავს რომ ვიტყვით, იმ დროში,
არ სჭირდა გარდასაქმნელი,
არ ჰქონდა მიტომ არც გროში.

დრო ახლა დადგა ახალი,
მოქრთამე და მომლიქნელო
ადგა და უცებ გვახარა:
მე უკვე გარდავიქმენო!

ისევ ჩაება ფერხულში,
გამოიცვალა კვლავ ტყავი
და იბრაგუნებს ხელს გულში
მამა აბრამის ბატკანი...

ისევ თითს უშვერს კაცს მართალს,
შეხეთ! რაც იყო, არს ისო!..
და გარდაქმნილმა გარდაქმნის
ზარები ჩამოარისხა!..

საქმე კი კვლავ „მოაგვარა“
(ამის თქმა გვიჯობს არათქმას),
ღმერთო, მომასწარ ამგვარად
გარდაქმნილების გარდაქმნას!

ნოდარ გრიგალაშვილი

წაღმა-უკუღმა სათქმელი

რაც კი ქვეყნად სიამეა, შვილო,
შენ არაფერზე წამოგცდეს — „არა!“
რაც ძალა და ღონე გაგაჩნია,
დაეწაფე ღვინოსა და არაყს!
ერთი სიგარეტი რომ მოსწიო,
მეორე გააბრწყინე ცეცხლით!
გარჯა? რა შენი საქმეა, შვილო,
თავისით მოდის ქონება ზეცით!
არ დაერიდო რაიმე აკრძალულს,
ზოგჯერ მთვრალიც კი მიუჯექ საჭეს,
არად ჩააგდო წითელი შუქი,
პირდაპირ დაადექ გზას და გაჭერ!
რაც შეგიძლია, ანიავე ფული,
გაუქრე დედ-მამას ბარაქა,
არასდროს იზრუნო დედ-მამისთვის! —
დაე, ვიწვალოთ, სანამ ძალა გვაქვს!
არ იფიქრო დაქორწინებაზე,
რა საჭიროა ცოლ-შვილის ყოლა?
ქართველთა გამრავლებაზე ზრუნვა
ჩვენთვის მიუღებელია ყოვლად!

მინაწერი

ასეთ საუბარს ვაპირებ შვილთან,
ასე მაქვს სათქმელი დაწყობილი.
ვაითუ სიტყვა არ იყოს რიგზე,
ვაითუ არ იყოს აწონილი!
სხვა გზა აღარ მაქვს, დებო და ძმებო,
ვერ მოვუარე ამ ჩემს უკუღმართს,
წაღმა ლაპარაკი რომ ესმოდეს,
რად ვაკადრებდი სიტყვას უკუღმართს?

ლალი მარტაშვილი

7-88

88-766

დასავლეთის მონოპოლიები აფრიკის ქვეყნებს მომწამვლელი ნივთიერებების საწყობად იყენებენ.

გაზეთებიდან



ნახ. გ. ლომიძისა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 23 (1777). დეკემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 1. 11. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 12. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1.5. სალიცენზიო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2756. უე 04807 ტირაჟი 136.000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137